

ცრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ცრიბუნა“ თვე-
ურად ღირს 100,000 ლ. სამკლავიარო განცხადება პირველ გვერდზე
500,000 უკანასკნელზე 300,000 ლ. განცხადება 10.000 ლ. ნაპა-
რელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დღის 8—12 ს. რედაქციის ნა-
ვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი, სასახლის
ქუჩა № 6, ფოსტისკუთხე № 190, ტელეფონი 10—34.

მთავარი გომიკის ორგანო
ბარასკევი, ნოემბრის 10
1922 წ.

საქმე. ფასი 50 სს მან.  პროვინც. 5000 მან.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვერა რომანოვის ასული, შეიღე-
ბი კოტე, ირაკლი, თამარა და ტარიელი, და ბარბარე მამრადე და
დისწული ტეტე მამრადე, აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობებს რომ
მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 ნოემბერს გარდაიცვალა საყვარელი

სოფრომ (მიშა) გლახას ძე ტარუაშვილი (გლახაშვილი)

სამეურნეო ბანკის ყოფილი დირექტორი. პანაშვიდი ყოველ დღე
საღამოს 6 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ვერაზე და
დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში პარასკევს 10
№ 441 ნოემბერს ნაშუადღევს 4 საათზე. 2—2

რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 11 ნოემბერს

მილკა სვალ

დადგმა ა. ფალავასი

კრ. 528

დასაწყისი სრულ 8 საათზე
2—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

მ. კ. მ. რ. ა.

3 რასკევს 10 ნოემბერს

ეგგენი ანგინი

შაბათს 11 ნოემბერს

ჯამბაზები და ბაღეტი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალული.
კასა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.
კრ. 527. 1—1

კვირას, 12 ნოემბერს, ქალაქის

აღმასრულებელი კომიტეტის ეგვლა გოგიშვილის აბანოები ღია
იქნება მთელი დღე. **შეიშვალა გალახაშვილის კუჩის გავ-**
შეიშვალა პასტორიზაციის ფონდს. ფასები გადისებული იქ-
ნება 50% იით.

№ 132—2—1

ქალაქის აბანოების გამგე

კოლოპეკაცია

გარდამავალ ეპოქაში, როდესაც მას, მხოლოდ და ირით, რომ
არ არის ერთი გარკვეული ეკონო-
მიური ორგანიზაცია და ძველი და
ახალი ფორმები მეურნეობის ბრძო-
ლას განიცდიან ურთიერთ შორის,
კოლოპეკაციამ მეთად დიდმნიშვნე-
ლოვანი როლი უნდა შესასრულოს
სამეურნეო ორგანიზაციის ახალი
ფორმების გამარჯვების საქმეში.

განსაკუთრებული მდგომარეობაა
ჩვენში კოლოპეკაციისათვის კიდევ
იმ მხრივ, რომ ერთი მხრივ კაპი-
ტალისტური მეურნეობა არ დაპა-
ტრონდება ჩვენს სინამდვილეს, ხო-
ლო მეორე მხრივ საქართველო
უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო
ქვეყანას წარმოადგენს.

კოლოპეკაცია სწორედ იქ იმარ-
ჯება, სადაც კაპიტალიზმის კონ-
კურენცია სუსტია და სადაც სასო-
ფლო-მეურნეობას აქვს უპირატე-
სობა: ამ მხრივ ბუნებრივი პირობე-
ბი გადაჭარბებულად ნაყოფიერია ჩვენ-
ში კოლოპეკაციის აღორძინებისათვის,
საქიროა მხოლოდ ჩვენი აქტიური
შემოქმედება, ხანგრძლივი და სის-
ტემატიური მუშაობა, რომ ჩვენი
კოლოპეკაციის დღევანდელი კრიზი-
სი დაძლეულ იქნეს და ფართოდ
ჩაება მშრომელი ხალხი კოლოპეკა-
ციულ მოძრაობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში
კოლოპეკაციამ ფეხი აიდგა განსაკუ-
თრებით სპეკულიაციის ხანაში და
ხალხი შეუგნებლად დაუკავშირდა

კოლოპეკაციამ მიაწოდა საქონელი
წვევებს ბაზრის ფასებზე დაკლებით.
თავის თავად ასეთი მდგომარეობის
შექმნა სრულიად არ შეადგენს კოო-
პერაციის უმთავრეს მიზანს. იგი
არ არის მოწოდებული იმისთვის,
რომ ბაზრის ფასებზე დაკლებით
მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი.
რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს,
რომ სპეკულიაციის პერიოდში კო-
ოპერაცია სპეკულიანტურ ორგა-
ნიზაციად იქცეს, მაგრამ ამით ჩვენ
გვინდა ხაზი გაუსვით იმ გარემოე-
ბას, რომ მხოლოდ ასეთი შემთხვე-
ვითი გარემოება სდგომილად დაედო
ჩვენში კოოპერაციის განვითარების
საქმეს და ამდენადვე მომხმარებელ-
თა ფართო წრეებს არ ესმოდათ სა-
თანადო კოოპერაციის დიდი მნი-
შვნელობა.

ამიტომ იყო და არის, რომ რო-
დესაც კოოპერატივმა ვერ შესძლო
იფ-ფასებში საქონლის მოწოდება,
კოოპერაციის წვევები ისევ ჩარჩე-
ბისაკენ გაეშურა და კოოპერაციის
ირგვლივ არსებითად დარჩა უმნი-
შვნელო ნაწილი წვერთა, რამაც
დაუკარგა მას ენერგია და საშუა-
ლება კოოპერაციის ფართოდ გან-
ვითარებისა.

ეს გარემოება აუცილებლად მი-
საღებია მხედველობაში და საქი-
როა მისი გაკეთილად გამოყენება.
კოოპერაცია თუ ერთი მხრივ
ეკონომიურ საშუალებებს აწვდის

მომხმარებელს მათი მოთხოვნილები-
სათვის, მეორე მხრივ იგი უნდა შემ-
სახურებოდეს კულტურულ მიზნებ-
საც და ევროპულ ქვეყნების კოო-
პერაციების მზგავსად უნდა სცემდეს
როგორც პერიოდულ გამოცემებსა
და წიგნებს კოოპერაციის შესახებ,
ისე უნდა მართავდეს ლექციებსა და
საუბრებს.

ჩვენში კი სამწუხაროდ კოოპერა-
ციის წვერს ელემენტარი წარმოდ-
გენა არა აქვს კოოპერაციის შესა-
ხებ და მას უყურებს იმდენად, რამ-
დენათაც შეიძლება დღესვე გახდეს
მოსახმარ საგანთა ფასის შემცირე-
ბელი ორგანიზაცია.

გარდა იდეური მუშაობისა ჩვენს
კოოპერაციას ესაჭიროება დახმარე-
ბა და მფარველობა სახელმწიფოს
მიერ.

დღევანდელი ეკონომიური ცხოვ-
რების პირობები, ფულის კურსის
სწრაფი ქანაობა, საქონლის შემთ-
ხვევითი გაჩენა ბაზარზე, მომხმარე-
ბელთა რესურსების სიმცირე და
ვიღვითი უნარის დაცემა ვერ შექ-
მნის კოოპერაციისათვის კარგ პირო-
ბებს თუ კი მას მფარველობა არ
ექნება ფართო მასშტაბით სახელმწი-
ფოს მიერ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის
მიზანი სრულიად არ არის კერძო
კაპიტალის განუსაზღვრელი ფარფა-
შის გაჩაღება. წინააღმდეგ, იგი
გულისხმობს შეჯიბრებისა და მიზან-
შეწონილობის გზით განდევნას კერძო
კაპიტალისა და ამ შეჯიბრების
პროცესში მშრომელთა სახელმწიფომ
ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ
სახელმწიფოებრივ და კოოპერატი-
ულ-პროფესიონალურ დაწესებულებ-
ბას გაუწიოს ფართო დახმარება და
მფარველობა, რომ ამ გზით კერძო
კაპიტალის გავლენის შევიწროება
ჩქარი ნაბიჯით წავიდეს წინ.

ახლად ფეხ-ადგმული ბურჟუაზია
ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ისევ
ამოტივტივდეს ცხოვრების ზედა-
პირზე და დიობრუნოს დაკარგული
ბატონობის საქმე. დღევანდელი
ობიექტიური პირობები ხელს უწყ-
ობს. ნაწილობრივად ამ საქმეს,
თუ სახელმწიფომ ვერ შესძლო
საკუთარი გზითა და კოოპერატი-
ულ დაწესებულებათა აღორძინებით
კერძო კაპიტალის განდევნა კონკუ-
რენციის საშუალებით.

განსაკუთრებული ყურადღების
ღირსია ჩვენში სასოფლო-სამეურნეო
კოოპერაცია.

ვისთვის არის საიდუმლოება ის გა-
რემობა, რომ ჩვენი სოფლის სიმ-
დიდრე სოფელშივე ღებდა და სო-
ფლის მეურნეობის საყოფი გადაუმუ-
შავებლად კი ვერ აღწევს ბაზარს.
მეხილეობა, მეგობრეშუგობა, მემა-
მეობა, მედევნეობა და სხვა მრავ-
ალი დარგი სასოფლო სამეურნეო
კულტურისა დღეს პრიმიტიულ
მდგომარეობაში იმყოფება და სა-
სოფლო-სამეურნეო კოოპერაციას
შეუძლია ჩვენი გლეხის მდგომარე-
ობის გაუმჯობესება.

საქართველო შეიძლება „ბედნიე-
რი გლეხის“ საშობლოდ იქცეს
კოოპერაციის საშუალებით.

ამ მხრივ საქიროა სისტემატიური
მუშაობა, მე-20 საუკუნემ სასწაულები
არ იცის. დაუღალავი შრომით სწა-
რმოებს ეკონომიურ ცხოვრების
სფეროში აღორძინება.

კოოპერაციას ამერიიდან მეტი
ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე
აქამდე.

ბ.—ელი

ნაკვეთი

ბურჟუაზიის დასახმარებლად: „პრავდა“ ეხება გერმანიის გაერთიან-
ებულ სოც.-დემოკრატიის პერსპე-
ქტივებს და მის დასახსიათებლად
მოყვას ბურჟუაზიული პრესის და-
ხასიათება. მოგვყავს ეს წერილი
შემოკლებით:

„ფორვერტსი“ 18 ოქტომბრის
ნომერში აცხადებს 100 დახურული
სხდომის მოწვევის შესახებ გაერ-
თიანებულ სოც.-დემოკრატიისა ბე-
რლინში. რაღაც მიზეზის გამო კრე-
ბების სიგეში აღნიშნულია აგრეთვე
ერთი სხდომა, რომელზეც მომხსე-
ნებლად გამოდის ზენზინოვი თემა-
ზე: „რუსეთი და სოც.-დემოკრატიუ-
ლი პარტიები“. ზენზინოვის ასეთი სა-
ქციელო კიდევ უფრო ნათელყოფს,
რომ გაერთიანებული სოც.-დემო-
კრატია წარმოადგენს „ბოლშევი-
კებთან ბრძოლის ლიგას“ და მარ-
თლაც არ არის დღე, რომ „ფორ-
ვერტსი“ შვავთ არ ნათლავდეს საბ-
ჭოთა რუსეთს და მთელ მის პოლი-
ტიკას.

საინტერესო არის ბურჟუაზიული
პრესის აზრი გაერთიანებულ სოც.-
დემოკრატიის პერსპექტივებზე. გან-
საკუთრებით დახასიათებელია „ბერ-
ლინერ-ბერზენ-კურირ“-ის წერი-
ლი. ეხება რა ნიურნბერგის პარ-
ტიტაგის დადგენილებას—კაუცკის
თავმჯდომარეობით საპროგრამო კო-
მისიის შექმნის შესახებ, გაზეთს პო-
ნია, რომ სხენებული კომისია გამო-
იწვევებს საქმო რადიკალურ პრო-
გრამას მომავლისთვის. ეს მას მა-
ინც არ აშინებს, რადგან საქმე
პროგრამის რადიკალურ სიტყვებში
კი არ არის, არამედ პრაქტიკული
პოლიტიკის ხასიათში. გაზეთი ამ-
ბობს: „კაუცკე, რომელიც ძალზე
უკმაყოფილოა გერლიკის პროგრამ-
ით, რადგან მან ვერ შეინახა ძვე-
ლი მარქსიზმის აღთქმანი, თავის
ახალ წიგნში „პროლეტარული რე-
ვოლუცია და მისი პროგრამა“,—
გულწრფელად აცხადებს, რომ მო-
მავალ ხანგრძლივ გარდამავალ პერი-
ოდში ძალიან ბევრი იქნება კაპი-
ტალიზმი და ძალზე მცირე სოცია-
ლიზმი.

ავტორი დიდ რეკომენდაციას
უკეთებს ამ „სასარგებლო“ წიგნს
ბურჟუაზიული პოლიტიკისათვის და
აღნიშნავს: „წინათ კაუცკი სიამოვ-
ნებით იყო გართული „სადასტო-
კრო“ საკითხებით მასზე, თუ რა
მოხდებოდა მეორე დღეს, პროლე-
ტარული რევოლუციის მიერ კაპი-
ტალისტური ბატონობის გაუქმების
შემდეგ, ხოლო ახლა კი სოციალ-
დემოკრატია თვით უბასუხებს ამ
კითხვას, რომ კაპიტალის დაცემის
შემდეგ ის ძვლებურად განაგრძობს
არსებობას“. „როდესაც ძველი რე-
ვიმის დროს, განაგრძეობს გაზეთი,
—დაეინებით მოთხოვნილი რეფორ-
მები ფერხდება იმ აზრით, რომ საა-
მისო პირობები ჯერ კიდევ არ „მო-
დი.“

მწიფებულა, მაშინ სოც.-დემოკრ.
არა უსაფუძვლოდ უარყოფდა ასეთ
მოსაზრებებს; ახლა ის თვით ეძებს
ნუგეშს და გამართლებას ასეთ არ-
გუმენტაციაში. ის სწყველის ბოლ-
შევიკებს, რომელნიც ნამდვილად
შეეცადნენ სოციალიზმის განხორ-
ციელების და კაუცკი უძღვნის თა-
ვის წიგნის მრავალ გვერდს იმის
მტკიცებას, რომ არა ჩვეულებრივ
სიძნელეს წარმოადგენს კაპიტალი-
ზმიდან სოციალიზმში გადასვლა და
და რომ ამ მხრით საქიროა დიდი
სიფრთხილე და გონიერება. რაკი
სოციალ-დემოკრატია თავის პრაქ-
ტიკულ პოლიტიკაში იმ სიფრთხილეს
იჩენს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ
თვალსაზრისითაც შესაძლებელია
დაიტოვოს მან ნუგეში თეორეტი-
ული რადიკალიზმით.“

გაზეთი გულგრილად უყურებს
სოციალ-დემოკრატ უმრავლესობის
გაერთიანებას დამოუკიდებლობა-
ნა: „გაერთიანების წყალობით, მართა-
ლია, რომ სოციალ-დემოკრატია
იღებს მნიშვნელოვან ძალებს თავის
ბელადებისა და წვერებისას, მაგრამ
ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ
ჯგუფის გავლენა გადამწყვეტი იქნე-
ბა პარტიაში და ამასთან, არ არის
აუცილებელი, რომ დამოუკიდებელი
პარტიის ძველი დეპუტატები რადი-
კალურ ტონს შეიტანდნ გაერთიანე-
ბულ ს.-დ. ფრაქციაში. მრავალი
მათგანი უკვე კარგა ხანია ოპორ-
ტუნიზმისაკენ ისწრაფვის და რო-
გორც ახლათ გამომცხვარი წვერები
მართვლი პარტიისა, ალბათ კიდევ
უფრო მეტად კომპრომისს გამოიჩე-
ნენ, ვიდრე მათი ამხანაგები ძველი
ს.-დ. ფრაქციდან.“

მაგრამ გაზეთი მეორე მხრით ხე-
დავს საფრთხეს: „სრულებით უმიზ-
ნო იქნებოდა იმის დამოღვა, რომ
კომუნისტური პარტიისთვის, სიძვი-
რის შეუწერებელი ზრდის გამო,—
ამ ზამთარში განსაკუთრებული გა-
მოსაღვეი პოლიტიკური კონიუნქტუ-
რა იქმნება. რაც უფრო უკეთესი
კონიუნქტურაა კომუნისტებისთვის,
მით უფრო რადიკალური ხდება
სოციალ-დემოკრატია. სოც.-დემო-
კრატები გულში ძალიან მოხარული
არიან, თუ მათი რადიკალიზმის
ეფექტი უქმდება ბურჟუაზიული
პარტიების და კაპიტალისტურათ
დაინტერესებულ ჯგუფების წინააღმ-
დეგობით. ბურჟუაზიულ პოლიტი-
კოსებმა უნდა აღიარონ, რომ მას-
სების შეჩერებით სოციალ-დემოკ-
რატია მოქმედობს არა მარტო თა-
ვის პარტიულ-პოლიტიკურ ინტერე-
სებით, არამედ თანამედროვე სახელმ-
წიფოს ინტერესებითაც.“

ამრიგად, ბურჟუაზია გაერთიანე-
ბულ სოც.-დემოკრატიაში ხედავს
სასარგებლო თანამშრომელს „სოც-
ხლის შქრობელ რაზმში“, და ამა-
შია თითქმის მისი უკანასკნელი იმე-
დი.

შურნალ-გაზეთებიდან

კალიციონურ სულიკვეთების
ზრდა. უკანასკნელ დღეებში ლონ-
დონში ადგილი ჰქონდა ლოიდ-ჯორ-
ჯის პარტიის ლიდერთა კონფერენ-
ციას. კონფერენციის დაესწრო ლო-
იდ-ჯორჯი, ჩემბერლენი, ბალფური,
ბირკენსტი, რობერტ ბონი და სხვა
ცნობილი ლიდერები შოტლანდიის
კონსერვატორებისა.
ბალფურმა პროვინციაში წასვლის
წინ ინახული ბონარ ლოუ და ესა-

უბრა მთელი საათის განმავლობაში,
ბონარ-ლოუს პარტიისათვის ნათე-
ლი ხდება ლოიდ-ჯორჯის მომხრე-
თა ზრდა და თვით პარტიაშიაც
ადგილი აქვს კალიციონურ სუ-
ლისკვეთებას. უკვე არის დადებუ-
ლი არა ოფიციალი ხასიათის ხელ-
შეკრულება სხვა და სხვა პარტიის
ლიდერებს შორის, რომ არჩევნებში
არ გამოვიდნენ ერთმანეთის წინააღ-
მდეგ.

მიგრამ ჯერ გავცნოთ იმს, თუ რო-
გორ სწყვეტს ამ საკითხს წამყვანებულ
თეზისები, ერთი მთავარი კითხვა ამ
შემათხვეში შეიძლება კავშირის უმადლეს
ორგანოს მოწყობის საქმეს. მე 9 მუხლს
თავისების გვეყენებს შემდეგი: „კავში-
რის უმადლეს ორგანოთ ჩაივადლოს სა-
კავშირო ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტი, რომელსაც შეადგენს საბჭო-
თა რესტის, უკრაინის, ამიერ-კავკასიის
დღევანდელისა და ელვოტუის ცენტრა-
ლური აღმასრულებელი კომიტეტები
და შემომადგენლები, მცხოვრებთა პარ-
ტიკულიალის მხედვეთ. და სხვა
სეთი კონსტრუქციი კავშირის უმადლეს
ორგანოს შესაქმნელად მისაღები
აქნის და უარსაყოფი. რომლებსა მუხლის
მხედვეთ ნაწილი, მოსლის მიხედვეთ
საკავშირო ორგანო დგებთ ცალკე
ერთეულებს აღმასკომების, წარმომ-
ადგენლებისაგან, უარსაყოფი უკანას-
კნელი ნაწილი, სადაც თვითრეუ-
ლირეულებს მცხოვრებთა პარტიკულის
მხედვეთი მდებარე ხმები. ეს უარსა

საქმე. 26 მს. 1925 წლის 11 იანვარს